# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 229

„20" მაისი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მოლითის ქუჩის მონაკვეთისთვის, მოლითის I ჩიხისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთისთვის და შესახვევისთვის ახალდაბის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, მოლითის ქუჩის მონაკვეთს და ახალდაბის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ახალდაბის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, მოლითის I ჩიხს, ახალდაბის შესახვევს და ახალდაბის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ახალდაბის I, II და III ჩიხის სახელები, თანდართული რუკის თანახმად.
3. ნაძალადევის რაიონში, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ახალდაბის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:482249 Y:4622724
ახალდაბის II ჩიხი
X:482066 Y:4622656
ახალდაბის ქ.
ახალდაბის I გას
X:482166 Y:4622644
ახალდაბის ქ.
X:481972 Y:4622653
X:482147 Y:4622626
ახალდაბის ქ.
ახალდაბის III ჩიხი
X:482282 Y:4622519
ახალდაბის ქ.
X:482415 Y:4622453
X:482359 Y:4622423
ახალდაბის I ჩიხი
X:482453 Y:4622424
N
1:2,000